თემა 17
ჩემი სახლი
Мой дом

გაკვეთილის მიზანი:
ასწავლოს ბავშვს სახლთან დაკავშირებული კონცეპტების გააზრება. გააცნობს სახლის სახელწყოდებები სხვადასხვა ბინადრისათვის და დაეხმაროს მათ დაკავშირებას ბინადრებთან.

კონკრეტული ამოცანები:
- განუვითაროს ბავშვებს სახლის შემადგენილ ნაწილებთან დაკავშირებული ლექსიკა
- დაეხმაროს ბავშვებს სახლის სხვადასხვა ნაწილისა და მათეტიკური წიგნიერების ერთმანეთთან დაკავშირებაში.
- გააცნობს ბავშვებს სახლთან დაკავშირებული ჩვევების გაანალიზებაში
- განუვითაროს ანალიტიკური უნარი, რომელიც სახლთან დაკავშირებული ჩვევების ახსნაში დაეხმარება

ლექსიკური ამოცანები	გამოყენებული ფრაზები და წინადადებები
სახლი, ოთახი, მისაღები, საძინებელი, სამზარეულო, სააბაზანო, ეზო, სადარბაზო, კარი, ფანჯარა, ჭერი, იატაკი, კედელი, კუთხე, მაგიდა, სკამი, კარადა, ტელევიზორი, დივანი, საწოლი, მაცივარი, გაზქურა, ნიჟარა, აბაზანა. ბუნაგი, სორო, ფუღურო, ბუდე, ნიჟარა, ბაკანი	• სახლს აქვს კარი და ფანჯრები. • სახლში სულ სამი/ორი/ოთხი ოთახია • ოთახში მაღალი/დაბალი ჭერია • ოთახს აქვს 1/2/3 ფანჯარა • სახლს აქვს სახურავი • სახურავი წითელია/მწვანეა/ლურჯია • ოთახში იატაკია/ქვემო იატაკია • ოთახში დგას მაგიდა • ოთახში სკამებია • ოთახში ტელევიზორია. • ტელევიზორი კუთხეშია • ეს მისაღები ოთახია • სამზარეულოში ვჭამთ • საძინებელში გვძინავს • სააბაზანო • დათვის სახლი ბუნაგია • ლომის სახლი ბუნაგია • თაგვის სახლი სოროა

	• ციყვის სახლი ფუღუროა • ბუს სახლი ფუღუროა • ლოკოკინას სახლი ნიჟარაა • კუს სახლი ბაკანია

აქტივობა - ავედი - ჩამოვედი - გავაღე - დავხურე

საჭირო მასალა: სურათები, რომლებზეც სახლის ნაწილები, მაგ. კარი, ფანჯარა, კიბე, სახლი და ერთი, რომელიმე ოთახი არის გამოხატული. სასურველია რომ გქონდეთ ბევრი ერთი, სხვადასხვა ნახატი ერთი და იგივე საგნის გამოსახულებით.

დააყენებთ ბავშვები წრეზე. ჩართეთ მარშისებური მუსიკა და ტემპს აჰყევით ფეხებით ისე, რომ ბავშვებიც აიყოლიოთ. ახლა მუსიკას ხმაც ააყოლეთ.

ამოიღეთ რომელიმე სურათი, მიიდეთ წინ, და იმის მიხედვით, რა სურათიცაა, დაიწყეთ ხმამაღლა დეკლარირება:

- თუ ხელში გიჭირავთ სახლის სურათი, მაშინ: მოვედით, მოვედით, მოვედით - სად მოვედით? - დაიცადეთ, რომ ბავშვებმა ერთად გიპასუხონ - სახლში მოვედით
- თუ ხელში კიჭირავთ კარი ან ფანჯრის სურათი, მაშინ: - გავაღეთ, გავაღეთ გავაღეთ, გავაღეთ - რა გავათეთ: ბავშვები ერთად: კარი / ფანჯარა გავაღეთ (იგივე სურათები შეცვალეთ „დავხურეთ“- ზმით)
- თუ ხელში კიბის სურათი გიჭირავთ იგივე ტექსტი „ავედით“ და „ჩავედით“ კიბეზე მიუსადაგეთ/
- თუ ხელში ოთახის სურათი გიჭირავთ, იმის მიხედვით, რაც ოთახიცაა, ტექსტი იქნება „შევედით მისაღებში, საძიენებლში, აბაზანაში, სამზარეულოში და ა.შ.

მას შემდეგ, რაც ბავშვები თავისუფლად დააკავშირებენ სურათს ზმნასთან, შეგიძლიათ მოძრეობების შეცვლაც დაიწყოთ სურათების შესაბამისად და ბავშვებთან ერთად განასახიეროთ ასვლის, ჩამოსვლის, კარის გაღების, დახურვის და ა.შ მოქმედებები.

აქტივობა: „ჩემი სახლი“

დაურიგეთ ბავშვებს ქაღალდისგან გამოჭრილი სხვადასხვა ფერის გეომეტრიული ფიგურები: სამკუთხედი, პატარა კვადრატები, უფრო დიდი კვარდატები, სხვადასხვა ზომი მართკუთხედები. სთხოვეთ ბავშვებს, რომ ფიგურების სახლების აპლიკაციები შექმნან. როდესაც კეთებას მორჩებიან დაუსვით ბავშვებს კითხვები:

ეს რა არის? (აჩვენეთ სახურავზე, კარზე, ფანჯარაზე, თვითონ სახლზე)

რამდენი სახურავი, კარი, ფანჯარა აქვს სახლს?

ეს სახურავი (კარი, ფანჯარა, სახლი) რა ფერია?

ეს კარი როგორია? (დიდია, პატარაა)

აქტივობა - მოვაწყოთ ოთახები

დაურიეთ ბავშვებს სურათები, რომლებზეც სხვადასხვა ოთახების ნივთები და ავეჯი არის გამოსახული. ასეთი ფოტოები ჟურნალებიდან და წიგნებიდანაც შეიძლება ამოჭრათ. სთხოვეთ ბავშვებს, რომ მოაწყონ სხვადასხვა ოთახები. ამისათვის კი, პატარა ჯგუფებში შეარჩიონ იმ ოთახის შესაფერისი ნივთები, რომლის „მოწყობასაც“ აპირებთ დაფაზე. ოთახის „მოწყობა“ დაიწყეთ შესავლით

მოდით, ახლა მოვაწყოთ მისაღები ოთახი:

- რა არის მისაღებ ოთახში?

ბავშვებმა მცირე ჯგუფებში უნდა მოძებნონ შესაბამისი ნახატი, ერთერთმა გამოიტანოს და სპეციალური დაფის რეზინით მიამაგროს „ოთახში“, და თან ხმამაღლა დაასახელოს ნივთი, რომელსაც ამაგრებს:

- ეს მისაღები ოთახია. ოთახში მაგიდაა.
- ეს მისაღები ოთახია, ოთახში სკამია და ა.შ.

შეეცადეთ, რომ ყველა ჯგუფს ჰქონდეს საჭირო ნივთების სურათები და დაფაზე რამდენი ჯგუფიცაა, იმდენი მისაღები, საძინებელი, სამზარეულო და სააბაზანო მოაწყოთ.

მას შემდეგ, რაც ყველა ოთახს მოაწყობთ, სთხოვეთ ბავშვებს, რომ ნივთები არა ოთახების მიხედვით, არამედ ოთახები ნივთების მიხედვით დააჯგუფონ.

მაგ. სად დგას მაგიდა?

- მაგიდა დგას სამზარეულოში და მისაღებ ოთახში.
- სად დგას კარადა?
- კარადა დგას სამზარეულოში, მისაღებ ოთახში?
- კიდევ სად დგას კარადა?
- კარადა დგას საძინებელ ოთახში.

გაიმეორეთ თამაში რამდენჯერმე.

აქტივობა - სახლი

ასწავლეთ ბავშვებს ლექსი ვასილ გულეურის ლექსი „ჩემი სახლი“

სახლი

ვასილ გულეური

ჩიტს ბუდე აქვს,
დათვს - ბუნაგი,
ციყვს - ფუღურო,
თაგვს კი სორო.

ყველა თავის
ბინას აგებს,
ყველა თავის
სახლში ცხოვრობს.
ლოკოკინას
აქვს ნიჟარა,
კუს - ბაკანი,
როგორც რკინა.
ზურგით დააქვთ
შარა-შარა
სახლი კუს და
ლოკოკინას.
ყველას თავის
სახლი უყვარს.
რა სჯობია,
როცა დაღლილს,
გელოდება
შენი კერა,
გელოდება
შენი სახლი.

ლექსის წარადგენისას, აჩვენეთ სლაიდ შოუ და მასთან ერთად ერთად გუნდურად ათქმევინეთ ლექსი, სანამ არ მობეზრდებათ. წაახალისეთ ბავშვები, რომ ლექსის თქმის დროს მიმიკა და ჟესტიკულაცია გამოიყენონ.

აქტივობა - ვინ სად ცხოვრობს?
დაურიგეთ ბავშვებს ბარათები, ცხოველებისა და ფრინველების, და მათი საცხოვრისის გამოსახულებით.
სთხოვეთ, ერთი დასტა ბარათები თქვენთვის დაიტოვეთ. ასწიეთ ცხოველი/ფრინველი და ბავშვებს დაუხსვით კითხვა?
სად ცხოვრობს დათვი? იპოვეთ დათვი და მისი სახლი!
ბავშვები ბარათებში აარჩევენ შესაბამის ცხოველს და მის სახლს და ერთად დააწყობენ.
ახლა სთხოვენ ბავშვებს რიგრიგობით გაიმეორონ: დავთი ცხოვრობს ბუნაგში.
იმდენად, რამდენად ბავშვებმა უკვე იციან სხვადასხვა ცხოველების და ფრინველების სახელები, შეგიძლიათ ის ცხოველები, რომლებიც ასევე ცხოვრობენ ბუნაგში, სოროში, ფუღუროში, ასევე დაასწავლოთ ბავშვებს და თითოეული საცხოვრისის გარშემო რამდენიმე ცხოველი და ფრინველი დააწყობინოთ. ბავშვებმა ყველა ცხოველთან მიმართებით უნდა გაიმეორონ სად ცხოვრობს ის.

რესურსები:

ცხოველები და მათი საცხოვრისი (ბანერი)